მიზნამდე ერთი ნაბიჯია

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 28 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ცსკა 3:1 (1:1).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ებრალიძე, გავაშელი (წერეთელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (მჭედლიშვილი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ცსკა: შმუცი, უტკინი (ისტომინი), ბაბენკო, კისლიაკოვი, კაპლიჩნი, შლაპაკი, ხისამუტდინოვი, კოპეიკინი (ტელინგერი), ფედოტოვი, პოლიკარპოვი, კოზლოვსკიხი.

მსაჯი: ვ. სამოლაზოვი (დონის როსტოვი).

29 ოქტომბერს ღამით, როცა შევიტყვეთ ტურის ყველა შედეგი, ნათელი შეიქნა, რომ კონკურენცია ბრინჯაოს მედლებისა და IV ადგილისთვის, რომელიც ასევე იძლევა საგაისოდ უეფა–ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას, არა თუ რამდენადმე მაინც გაირკვა, პირიქით, კიდევ უფრო პრობლემატური გახდა: თბილისის დინამოელებთან ერთად გაიმარჯვა ყველამ, ვისაც კი რაიმე შანსი აქვს მოხვდეს საბოლოო ცხრილის მოწინავე ჯგუფში. ყველაფერი ბოლო ტურში უნდა გაირკვეს.

რა შეიძლება მოხდეს? ვარიანტების გამოანგარიშება მიგვინდვია თვით მკითხველისთვის, რომელსაც გათამაშების ცხრილი თვალწინ აქვს და, ალბათ, ისიც იცის, რომ მოსკოვის ”დინამო” მასპინძლობს “შახტიორს”, “სპარტაკი” – “კარპატის”, “ზარია” კი ალმა–ათაში ხვდება “ყაირათს”.

ერთი კი ცხადია: ჩვენმა გუნდმა უეჭველად წარმატებით უნდა ითამაშოს ლენინგრადში “ზენიტთან”. 33 ქულა ეს ის გამსვლელი “მანდატია”, რომელიც დაუბრკოლებლად მოგვიტანს III ან IV ადგილს, ვინაიდან “დინამო” (მოსკოვი) – “შახტიორის” შეხვედრაში დანაკარგი ერთ–ერთი გუნდისთვის გარდუვალია. ამიტომ ლენინგრადის მატჩს თბილისელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მისი მოგება აუცილებელია.

ასევე აუცილებელი იყო გუშინწინდელი შეხვედრის მოგება ცსკა–სთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გუნდის შემდგომი გეგმები, რბილად რომ ვთქვათ, მხოლოდ უტოპიური ოცნება თუ იქნებოდა. დინამოელებმა თავიდანვე პასუხისმგებლობის სრული გრძნობით, მაქსიმალური მობილიზებით, ძლიერი შეტევით დაიწყეს თამაში. მასპინძელთა იერიშების მხოლოდ ქრონოლოგიური აღწერა ბევრ დროს და ადგილს წაგვართმევდა: ყიფიანისა და მაჩაიძის სახიფათო გარღვევები, ლ. ნოდიას დარტყმა, ებრალიძისა და ძოძუაშვილის რეიდები, გ. ნოდიასა და გავაშელის საგოლე მომენტები, ასათიანის ზუსტი შორეული გადაცემები სწრაფად ცვლიდა ერთმანეთს. აქტიურად მოქმედებდნენ ჭელიძე და კანთელაძეც, რომლებსაც ხშირად ვხედავდით შუა ხაზს იქით, არმიელთა ნახევარზე.

22–ე წუთისთვის ცსკა–ს კარი ბევრჯერ აღმოჩნდა რეალური საშიშროების წინაშე. შმუცი, მცველები და ნახევარმცველები გაჭირვებით აუდიოდნენ ამ იერიშების მოგერიებას. გოლი, როგორც იტყვიან, მწიფდებოდა.

22–ე წუთი აღვნიშნეთ იმიტომ, რომ სწორედ მაშინ იქნა გატანილი გოლი, მაგრამ არა ცსკა–ს, არამედ “დინამოს” კარში. თამაშის მსვლელობა, ძალთა შეფარდება მინდორზე აშკარად თბილისელთა სასარგებლოდ იყო, ანგარიშის გახსნა რამდენიმეჯერ შეიძლებოდა, მაგრამ მოსკოველებმა კარგად გაითამაშეს ერთი

კონტრშეტევა, კოზლოვსკიხმა, რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო ამ დღეს ცსკა–ს რიგებში, გადაინაცვლა მარჯვენა ფლანგზე, მიაწოდა ცენტრში ფედოტოვს, გამოცდილმა ფეხბურთელმა კი ძლიერად და ზუსტად დაერტყა კარის შორეულ კუთხეში.

დინამოელები დამატებითი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ. საჭირო იყო მათი დაძლევა, რისთვისაც გუნდმა ყველაფერი იღონა და თანაბრობა აღადგინა სულ მალე, 3 წუთის შემდეგ: ერთ–ერთი იერიშისას ლ. ნოდიამ კარგად გადასცა ბურთი გ. ნოდიას და ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ გამოასწორა ჩამორჩენა – 1:1.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა: თამაში თითქმის არ სცილდებოდა ცსკა–ს საჯარიმო მოედანს. ბევრი გამოუყენებელი საგოლე მომენტის შემდეგ "დინამომ" ასეთი კომბინაცია გაითამაშა: ასათიანი – ლ. ნოდია–ყიფვიანი–მაჩაიძე–გ. ნოდია. ცენტრალური თავდამსხმელი სწრაფად გავიდა ხელსაყრელ პოზიციაში და შეუცდომლად დაარტყა მიზანში.

ეს მოხდა 66–ე წუთზე, 8 წუთის შემდეგ კი მაჩაიძემ და გ. ნოდიამ შუა მინდვრიდან ერთმანეთში გაითამაშეს ბურთი, მაჩაიძემ გამოიტყუა კარიდან შმუცი და მესამედ აიძულა არმიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია 1 ნოემბრის მატჩზე ლენინგრადში. სასურველ მიზნამდე თბილისის "დინამოს" სულ ერთი ნაბიჯი აკლია.

რ. ქორიძე.

"ლელო", 30 ოქტომბერი, 1973 წ.